



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



PRESS RELEASE

დაუყოვნებელი გავრცელებისათვის

26 ივნისი, 2015

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნათია ჩოფლიანი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა
ეროვნული ასოციაცია

e-mail: nchoplani@nala.ge

cell: +995 593 10 46 44

ICCAMGR-ის მიერ გამართულ დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო შეხვედრაზე განხილული იქნება გარემოსდაცვითი, კლიმატის ცვლილების და სოფლის მეურნეობის საკითხები

საქართველო, თბილისი – 2015 წლის 26 ივნისს, 15:00სთ.ზე სასტუმროში „Room’s Hotel“ აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა “საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია” (ICCAMGR) გამართავს დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო ჯგუფის მეოთხე შეხვედრას. შეხვედრაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართავენ USAID-ის მისიის ხელმძღვანელი, ბ-ნი სტივ ჰეიკინი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი, ბ-ნი გიგლა აგულაშვილი. შეხვედრას ასევე დაესწრებიან USAID-ის წარმომადგენლები, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს აერთიანებს, საშუალებას აძლევს ყველა მონაწილეს გაუზიარონ ერთმანეთს სამომავლო გეგმები და მოახდინონ საქმიანობის კოორდინირება სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებულ მხარეთა საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა USAID-ის მიერ დაფინანსებული ICCAMGR პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია.

პროგრამა მიმართულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის დღის წესრიგში გარემოს დაცვითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების ინტეგრირებაზე. პროგრამამ დაიწყო კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის პრაქტიკის ინსტიტუციონალიზაცია მუნიციპალიტეტებში კლიმატის ცვლილების და მდგრადი განვითარების სპეციალური კომისიების შექმნის გზით. ამ კომისიების, თუ სამუშაო ჯგუფების ამოცანაა ხელი შეუწყონ ორგანული კანონით დადგენილი ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების განხორციელებას ბუნებრივი რესურსების მართვის, სივრცითი დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების სფეროში.

აშშ-ს მთავრობა მხარს უჭერს აღნიშნულ ინიციატივას საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან ძალისხმევას საქართველოს ბუნებრივი რესურსების და აგრეთვე საქართველოს ყველა მოქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ეფექტური მენეჯმენტისა და დაცვისათვის.

###

USAID საქართველოში: ბოლო 20 წლის განმავლობაში, ამერიკელმა ხალხმა, USAID-ის მეშვეობით, 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი ოდენობის დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ის პროექტები მიზნად ისახავს დახმარების განწევას საქართველოსათვის თავისუფალი და ძლიერი დემოკრატიის მშენებლობის პროცესში და მოიცავს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესებაზე. USAID უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: <http://georgia.usaid.gov>